# ბავშვები ჩვენი მომავალია

ეროვნული ბიბლიოთეკა



„უზრუნველვყოთ თითოეული ბავშვის ბედნიერი ბავშვობა— ეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უკეთილშობილესი ამოცანაა".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან.



საქინფორმი

ბავშვები უდიდესი განძია. ყოველივე საუკეთესო მათ ეკუთვნით. ზრუნვა მოზარდი თაობისათვის სახელმწიფო საქმეა. დიდი ოქტომბრის პირველი დღიდანვე ლენინის ამ პრინციპებს ყოველთვის მტკიცედ ასრულებს საბჭოთა ქვეყანა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.



ДЕКРЕТ

Об учреждении Совета Защиты Детей.

[illegible]

დეკრეტი ბავშვთა დაცვის საბჭოს დაწესების შესახებ. 1919 წელი.



ბავშვთა კოლონიაში. 1920-იანი წლები.



საქინფორმი

„...არც ერთი წუთით არ დავივიწყოთ ბავშვები...“

ვ. ი. ლენინი



ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია ლენინის დისშვილ ვიქტორთან და მუშის ქალიშვილ ვერასთან ერთად გორკში. 1922 წლის აგვისტო-სექტემბერი.



საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წლად გამოაცხადა.

„ეს ძალიან კარგი, სწორი გადაწყვეტილებაა. ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია. მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესსა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ რა არის ომები, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ".

ლ. ი. ბრეჟნევი.



ლ. ბრეჟნევი პიონერებთან.

სახელმწიფო ზრუნავს ოჯახისათვის იმ გზით, რომ ქმნის და ავითარებს საბავშვო დაწესებულებების ფართო ქსელს, ქმნის და სრულყოფს საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების სამსახურებს. სსრ კავშირში მოქმედებს 120 ათასზე მეტი მუდმივი საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი, რომლებშიც იზრდება 13 მილიონზე მეტი პატარა.



სოფელ ახალი-ხიბულას ახალ საბავშვო ბაგა-ბაღში.

ზრუნვა ბავშვებისათვის, ოჯახისათვის, დედისა და ბავშვის დაცვა საკანონმდებლო წესითაა განმტკიცებული სსრ კავშირის კონსტიტუციით. ამ უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილია იმ პირობების შექმნით, რომლებიც ქალებს საშუალებას აძლევს ერთმანეთს შეუხამონ შრომა და დედობა, უზრუნველყოფილია სამართლებრივი დაცვით, მატერიალური და მორალური მხარდაჭერით, მათ შორის ხელფასიანი შვებულებისა და სხვა შეღავათების მინიჭებით.



ახალშობილთა განყოფილება თბილისის მეანობისა და გინეკოლოგიის ინსტიტუტში.



საქინფორმი

ათასობით პედიატრი იცავს ბავშვის ჯანმრთელობას. მის ჯანმრთელობას დაბადების მომენტიდან 14 წლამდე თვალყურს ადევნებს ექიმი.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ბავშვთა საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი გაიზარდა ერთნახევარჯერ და მეტად და 550 ათას მიაღწია.



პედიატრი ლია ნადირაძე და მისი ნორჩი პაციენტი.

ერთი ბავშვის მოვლა-შენახვას საბავშვო ბაგაში წელიწადში ხმარდება 500 მანეთზე მეტი, ხოლო საბავშვო ბაღებში—450 მანეთზე მეტი. ამასთან ხარჯების 80 პროცენტს სახელმწიფო ანაზღაურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუსიკალური საათი ქარხანა „ემალსადენის" საბავშვო ბაგა-ბაღის ერთ-ერთ ჯგუფში.

ბედნიერი საბჭოთა ბავშვებისათვის ღიაა 134 ათასი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კარი. მეათე ხუთწლედში ახალი სკოლების მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების მოცულობა 6.5 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს.



გამოცდის შემდეგ.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ მოეპოვება ისეთი მაღალ-მხატვრული საბავშვო ლიტერატურა, როგორიც ჩვენ გვაქვს. საბ-ჭოეთში საგანგებოდ ბავშვებისათვის გამოდის 69 გაზეთი და ჟურნალი. სამოცზე მეტი გამომცემლობა წელიწადში უშვებს 3 ათასი დასახელების საბავშვო წიგნებს, რომელთა ტირაჟი 500 მი-ლიონს აღწევს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირში ფართოდ განვითარდა კვალიფიციური ახალგაზრდა მუშების მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. 1978 წელს ეს სასწავლებლები დაამთავრა 2.2 მილიონმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა. მიიღო საშუალო განათლება და პროფესია.



დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე ლეილა ომანაძე.



ქუთაისის № 112 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ახალი კორპუსი.



საქინფორმი

ჩვენი ბავშვები ცხოვრობენ პირობებში, რომლებიც საუკეთესოდ უწყობენ ხელს მათი ბუნებრივი ნიჭის განვითარებას. ბავშვთა მხატვრულმა თვითმოქმედებამ ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მიაღწია ისეთ დონეს, რომელიც საფუძველს გვაძლევს ვუწოდოთ მას სახალხო ხელოვნება.



ანსამბლი „მზიური" მოსკოვში.



საქინფორმი

ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას. მისი ჯანმრთელობის გაკაჟებას აქტიურად უწყობს ხელს ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობა. ამისათვის ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი. 1978 წელს სსრ კავშირში იყო 5.956 ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლა, რომლებშიც მეცადინეობს დაახლოებით 2 მილიონი ბავშვი და მოზარდი.



თბილისის ბავშვთა სპეციალიზირებული „დინამოს" საფეხბურთო სკოლის ნორჩი ფეხბურთელები ვარჯიშის შემდეგ.



საქინფორმი

ტექნიკის ნორჩი მოყვარულები მეცადინეობენ კულტურის სასახლეებთან და კლუბებთან არსებულ სხვადასხვა წრესა და სექციაში, რომელთა რიცხვი 26 ათასს აღემატება. ქვეყანაში არის ნორჩ პილოტთა და კოსმონავტთა 500 კლუბი, 39 საბავშვო რკინიგზა, საბავშვო სანაოსნო, ავტოდრომი—მხოლოდ ისწავლეთ, შექმენით!



ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავიამოდელისტები მეცადინეობაზე

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციაში 25 მილიონი ბავშვია. რაზმებსა და რაზმეულებში ისინი კომუნისტური აღზრდის პირველ სკოლას გადიან.



ალამი აღიმართა პიონერულ ქალაქ „საკონელაში".



საქინფორმი

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ჯანმრთელობის კერების, ფართო ქსელი, სადაც ბავშვები ისვენებენ. 1978 წლის ზაფხულში დაახლოებით 12 მილიონმა ბავშვმა და მოზარდმა დაის-ვენა პიონერულ ბანაკებში. მათგან უმრავლესობამ უფასო და შეღავათიანი საგზურები მიიღო.




ქობულეთი. პიონერული ბანაკი „კორალდენი".



საქინფორმი

ნამდვილ ინტერნაციონალისტებად იზრდებიან საბჭოთა ბავშვე-ბი. მათვის ახლობელი და გასაგებია ყოველი ეროვნებისა და კანის ფერის ადამიანთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის იდეები.



ქართველ და ბულგარელ პიონერთა გაერთიანებული რაზმი ლაშქრობისათვის ემზადება.

1959 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო „ბავშვის უფლებათა დეკლარაცია". მასში ნათქვამია: „...ბავშვს უნდა ჰქონდეს ბედნიერი ბავშვობა და როგორც თავისი, ისე მთელი საზოგადოების სასიკეთოდ სარგებლობდეს უფლებებითა და თავისუფლებებით..."

გავიდა 20 წელი. მაგრამ მსოფლიოს მილიონობით ბავშვის მდგომარეობა ჯერ კიდევ ძალიან მძიმეა.



მწუხარება სამხრეთ აფრიკის შავკანიან ბავშვთა ხვედრია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ყოველი ხუთი ბავშვიდან მხოლოდ სამი აღწევს ხუთი წლის ასაკს.

თანამედროვე მსოფლიოში თითქმის მეოთხედი მილიარდი ბავშვი შიმშილობს და ავადმყოფობს. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ლათინური ამერიკის ქვეყნებში 7.5 მლნ. ბავშვი დაიღუპა იმის გამო, რომ მოკლებული იყვნენ სამედიცინო დახმარებას. მსოფლიოს სასკოლო ასაკის 300 მილიონ ბავშვს არა აქვს სწავლის საშუალება. 52 მილიონი ბავშვი იძულებულია მუშაობდეს ლუკმა-პურისათვის.



ასეთ პირობებში „ცხოვრობს" ათასობით პარაგვაელის ოჯახი.



პარაგვაი. ბევრ მის თანატოლივით ეს ბიჭი დილიდან საღამომდე დახეტიალობს ქუჩებში და გამვლელებს სიგარეტებს სთავაზობს.



საქინფორმი

# მსოფლიოს ხალხებო!

მოგიწოდებთ: ყველაფერი იღონეთ, რომ არსად და არასდროს არ აფეთქდეს ბომბები და ჭურვები, რომ ყველა ბავშვი დადიოდეს სკოლაში, არ იცოდეს რა არის შიმშილი და სიღატაკე, რომ მათ არ წაართვან სამშობლო, ახლობლები, ბავშვობა, რომ მსოფლიო უკეთესი და უფრო სამართლიანი გახდეს.

დაე, მუდამ იყოს მზე!

დაე, მუდამ იყოს მშვიდობა!

ამონაწერი ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეთა მიმართვიდან „დაე, მუდამ იყოს მზე!"



საქინფორმი